ოქმი:**ო31. 3125122001**
თარიღი:**02/05/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N5

ქ. ლანჩხუთი

29. 04. 2025 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ეკა გუჯაბიძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალეკო კირვალიძე, მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პაატა ურუშაძე, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს მიერ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ, მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 16 წევრი.
მომხრე საკრებულოს 16 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2025 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალეკო კირვალიძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

/თანამომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

5.სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 16 წევრი.

მომხრე საკრებულოს 16 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე გოგი მორჩილაძე.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ საქართველოში, საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის სფეროს მოწესრიგების მიზნით, 2023 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტი. მათ შორის, ცვლილებები საქართველო ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“.

აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,, კ 2“ ქვეპუნქტის თანახმად, დადგენილია საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის რეფორმის ფარგლებში მუნიციპალიტეტის შემდეგი უფლებამოსილება, კერძოდ, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ დასახლებაში ავტოსადგურის არ არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ნორმატიული აქტით იმ დასახლებების ჩამონათვალის განსაზღვრა, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და

წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.

მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N13 (29.04.2025).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2025 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ალეკო კირვალიძემ.** მისი განმარტებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად. განსახილველად და დასამტკიცებლად, წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2025 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.

მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N17 (29.04.2025).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა 40,602.9 ათ.ლარი შეადგინა, რაც გეგმის 100,5 %-ია. აქედან გადასახადების სახით მიღებულია 14,836.5 ათ.ლარი- გეგმის 103,6 %-ი, სხვა შემოსავლები მიღებულია 4,452.2 ათ.ლარი რაც გეგმის 100,4 %-ს შეადგენს, მათ შორის-საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია- 167,8 ათ.ლარი რაც გეგმის 110,9 %-ს შეადგენს, სანქციები (ჯარიმები და საურავები) 3,409.8 ათ.ლარი, რაც გეგმის 98,3 %-ს შეადგენს.

გრანტის სახით მიღებულია 20,974.0 ათ.ლარი, აქედან გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 20,657.8 ათ.ლარი, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულია გრანტი 316.14 ათ.ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად- 270.0 ათ.ლარი, კაპიტალური ტრანსფერი-8,771.6 ათ. ლარი, სპეციალური ტრანსფერი- 11,616.2 ათ. ლარი, მათ შორის: სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე- 8,925.2 ათ. ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები - 748.0 ათ. ლარი. საფინანსო წელში გაწეულია 20,351.9 ათ.ლარის ხარჯი, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 7,689.6 ათ.ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით ხარჯმა 9,570.3 ათ.ლარი შეადგინა.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი ელისო ჭიჭინაძე.

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 3248,8 ათას ლარს, მათ შორის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენდა 1399,0 ათას ლარს , საიდანაც მიიმართა 2025 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად, ასევე მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად და ინფრასტრუქტურული ობიექტების ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებისთვის გაწერილია 2025 წლის ბიუჯეტში.

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 43851,7 ათასი ლარი,

რაც გეგმიური მაჩვენებლის (46893 ათ ლარი) 93,5 %-ია.

პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია:

2024 წელს მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 7150,6 ათ ლარი შეადგინა, რაც გეგმური მაჩვენებლის (8142,8. ათ ლარი) 87,8 % პროცენტია. აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები :

1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა 1300.0 ათასი ლარი;

2. საერთო დანიშნულების ხარჯი: მუნიციპალიტეტის ვალდებულების მომსახურება და დაფარვა -69.4 , ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა -961,9 ათ ლარი.

სარეზერვო ფონდიდან 2024 წელს გახარჯულია მერის ბრძანების საფუძველზე 47200 ლარი.

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 20944,6 ათასი ლარით, რაც გეგმის(22454,7 ათ ლარი) 93,2 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 15,540.9 ათ. ლარი, გზების მიმდინარე შეკეთება 458.8 ათ. ლარი, წყლის სისტემების განვითარება- 229.4 ათ. ლარი, წყლის სისტემის რეაბილიტაცია- 57.4 ათ. ლარი, გარე განათება- 741.2 ათ. ლარი, მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია- 847.7 ათ. ლარი, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია- 128.2 ათ. ლარი, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება- 232.0 ათ. ლარი, საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა- 589.1 ლარი, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია- 1,668.6 ათ. ლარი.

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2453,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 98,5 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 2160.7 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და განვითარებაზე დაიხარჯა 272.7 ათასი. უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებზე გაიხარჯა 20.0 ათ ლარი.

საგანმანათლებლო ღონისძიებებზე 2024 წელს 5766,6 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის -97,2 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 4162,9 ათასი ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსებაზე დაიხარჯა 1558,5 ათასი ლარი რაც გეგმის 94,4 %-ია.

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 6104.4 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6316.8 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 96.6 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 3598.7 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 2485.6 ათასი ლარი, ახალგაზრდობის მხარდაჭერაზე - 20.1 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 1432.1 ათასი ლარით 92.2 %-ით, ,მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 297.3 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას - 1134.7 ათასი ლარი.

2024 წლის სოციალური პროგრამების დაფინანსების კუთხით ინფორმაცია შემდეგია:

1. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 148 700 ლარით, პროგრამის მიზანს წარმოადაგენს ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის კვირაში სამჯერ საკვების მიწოდება ოჯახში.

2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 30900 ლარით, პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა რაც აუმჯობესებს დემოგრაფიულ მდგომარეობას:

3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით

უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 93 300 ლარით, პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, ხანძრისა და მწყრისაგან დაზარალებული, ასევე, საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დახმარება. ასევე, ძალადობის მსხვერპლ ქალთა თავშესაფრით უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებზე გათვალისწინებულია ბინის ქირის გადახდა.

4. ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 53300 ლარით. პროგრამის მიზანია ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება.

5. სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 25000 ლარით. პროგრამის მიზანია სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობა. პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობასა და განათლების სრულფასოვნად მიღებას:

6. ცენტრ ,,იავნანას" თანადაფინანსების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 15800 ლარით;

7. ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 13600 ლარით;

8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 12500 ლარით;

9. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 246 100 ლარით;

10. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 35000 ლარით;

11. მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 50000 ლარით;

12. უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 2500 ლარით;

13.ლანჩხუთის რეგიონული ორგანიზაციის ,,გამარჯვებულ ქალთა კლუბის" ონკოპაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 70 000 ლარით;

14.ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 4500 ლარით;

15. შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 9 500 ლარით;

16.ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია /აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 104 500 ლარით;

17. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის პროგრამის ბიუჯეტია 1000 ლარი. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე ბენეფიციარს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით.

18. სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამის ბიუჯეტია 5000 ლარი, პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული 18-დან 24 წლამდე ახალგაზრდების ფინანსური დახმარებას.

19. მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება, ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამის ბიუჯეტია 4500 ლარი;

20. 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვებს და შშმ ბავშვებს, რომლებიც არიან ობოლი, ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 3500 ლარით;

21.ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტია 10 800 ლარი, ცელიაკია მძიმე დაავადებაა. ცელიაკია ფსიქო-ფიზიკური განვითარების შეფერხებას იწვევს. მკურნალობის ერთადერთი საშუალება დიეტოთერაპიაა, რომელიც გულისხმობს ძვირადღირებული სპეციალიზირებული კვებითი დანამატების მიღებას მუდმივად, რაც მძიმე ეკონომიურ ტვირთს წარმოადგენს თითოეული ოჯახისთვის.

მუნიციპალიტეტის მერმა ყურადღება გაამახვილა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამაზე და აღნიშნა, რომ .ეს ძალიან მნიშვნელოვანი და ხელსაყრელია მშობლების და ზოგადად, საზოგადოებისთვის. პროგრამის ბიუჯეტია 154 100 ლარი. პროგრამიდან გახარჯულია 152 500 ლარი. პროგრამით ისარგებლა 39 ბენეფიციარმა.

2022 წლის 17 თებერვლიდან საქართველოს მთავრობის N81 დადგენილების ფარგლებში ამოქმედდა საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რომლის მიზანია, სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების მიმართ შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელება, მათი საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობისა და სოციალური დაცვის/დახმარების უზრუნველყოფის გზით. ამ დადგენილების შესაბამისად პროგრამულად ატვირთული იქნა 2024 წლის ვაკანსიები, მომზადდა შესაბამისი რეესტრი ვაკანსიებზე დასანიშნი ბენეფიციარების შესახებ. ელექტრონულად გაუფორმდათ ხელშეკრულება 392 ბენეფიციარს, ამ დროისთვის ბენეფიციარებთან ფორმდება ხელშეკრულება მატერიალური სახით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. პროგრამის ფარგლებში ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას. დასუფთავების ღონისძიებები ხორციელდება ქალაქ ლანჩხუთის ქუჩებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე, 15 ადმინისტრაციულ ერთეულის ცენტრებიდან. ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს -2194700 ლარს, საიდანაც გახარჯულია -2161592 ლარი.

გარე განათების ქსელის ექსპლუატაციის ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართულ ფუნქციონირებას და მის პერიოდული შეკეთებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 291100 ლარს, საიდანაც გახარჯულია 266883 ლარი.

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 277100 ლარს, საიდანაც გახარჯულია 272666 ლარი.

წყლის სისტემის ექსპლუატაციის ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს -185300 ლარს, საიდანაც გახარჯულია -171929 ლარი.

მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს გადმოეცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შეძენილი 5 ავტობუსი მარკა ISUZU NOVOCITI BUS, რომლებიც იმოძრავებს ლანჩხუთის სოფლების მიმართულებით: 2 ერთეული ეწერი-ქვიანი, 1 ერთეული ლანჩხუთი-აცანა- მამათი, 1 ერთეული ლანჩხუთი-ჩოჩხათი, 1 ერთეული ლანჩხუთი-გრიგოლეთი-წყალწმინდა. ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს - 307500 ლარს, საიდანაც გახარჯულია - 231974 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს წლამდე მოზარდების ფსიქოლოგიური სოციალურ ემოციური შესაძლებლობების განვითარებას მოსწავლის ფიზიკური აქტივობის განვითარებას. ქვეპროგრამის ფარგლებში 2024 წლის გეგმა სულ შეადგენს 723 500 ლარს, საიდანაც გახარჯულია718 846 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის მიზანია სკოლამდელ დაწესებულებებში უზრუნველყოს თითოეული ბავშვის მრავალმხრივი განვითარება თამაშზე დაფუძნებული და ბავშვზე ორიენტირებული მიდგომით, სკოლამდელ დაწესებულებაში მზრუნველი და მასტიმულირებელი გარემოს შექმნა პერსონალის კომპეტენციების ამაღლებით და ოჯახებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

2024 წლისათვის 16 ტერიტორიულ ერთეულში ფუნქციონირებს 19 საბავშვო ბაღი. ქვეპროგრამის ფარგლებში სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის წლის გეგმა შეადგენდა 4233046 (ოთხი მილიონ ორასოცდაცამეტიათას ორმოცდაექვსი) ლარს, საიდანაც გახარჯულია 4162898 (ოთხი მილიონ ასსამოცდაორიათას რვაასოთხმოცდათვრამეტი) ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა ახორციელებს მოზარდების ჩართულობას ფეხბურთში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და მუნიციპალიტეტის წარმოჩენას ფეხბურთში ქვეყნის მასშტაბით. ქვეპროგრამის ფარგლებში ცხრა თვის გეგმა შეადგენს 390080 ლარს, საიდანაც გახარჯულია 344205 ლარი,

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება ქვეპროგრამის ფარგლებში ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 კულტურის სახლის, 4 მუნიციპალური მუზეუმის, 18 ბიბლიოთეკის და ეგ.ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრის ფუნქციონერებისა და განვითარების ხელშეწყობას. ქვეპროგრამის ფარგლებში გახარჯულია 1409607 ლარი. განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: კალანდობის დღესასწაული გურიაში, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, აღდგომის დღესასწაულზე სახალხო თამაშობა „ლელობურთი“, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, გაიმართა სპექტაკლ „ჩარლის დეიდა“ პრემიერა, ,,გამოსაშვები ‘საღამო“ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, გაიმართა მუნიციპალიტეტის სკოლების წარჩინებულ მოსწავლეთა დაჯილდოების ცერემონია, გაიმართა „ლანჩხუთობის“ დღესასწაული. „თბილისობის“ დღესასწაულზე ეთნოგრაფის მუზეუმის ეზოში მოეწყო სამუზეუმო გამოფენა „გურული კუთხე“, გაიმართა საახალწლო ღონისძიება. მუზეუმებში გაიმართა მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული შემოქმედებითი საღამოები.

მუზეუმებისათვის 2024 წელს შეძენილი იქნა 175 ლარის ღირებულების ექსპონატი. აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა მოძველებულ და დაზიანებულ ექსპონატებს.

ბიბლიოთეკაში 2024 წელს ჩატარდა კაპიტალური რემონტი 99110 ლარის ღირებულების. შეძენილი და ნაწილობრივ განახლებული იქნა მატერიალური ბაზა.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება არის შემოქმედებითი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულება, რომელიც ქვეპროგრამის ფარგლებში 2024 წელს დაფინანსდა 540900 ლარით.

შპს ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“-ს მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, 2024 წლის მანძილზე აქტიურ მუშაობას ეწეოდა როგორც ტურიზმის, ასევე, სოფლის მეურნეობის მიმართულებით. 2024 წლის ცენტრის ბიუჯეტი წარმოადგენდა 228976 ლარს (მ.შ წინა წლის ნაშთი 21676 ლარი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება 207300 ლარი). სულ 2024 წლის ხარჯებმა შეადგინა 199771 ლარი. ცენტრის მიერ შემუშავდა პროექტი „მუნიციპალური პლაჟის მოწყობა“. ტურისტული ბანერების განახლება, ახალი ბანერის დამატება ქალაქის ტერიტორიაზე და მათი მონტაჟი. მონაწილეობდა სხვადასხვა ფესტივალებზე. მიიღო მონაწილეობა ტურისტული ობიექტების მონიტორინგში GIZ წარმომადგენლებთან და ექსპერტთან ერთად. ცენტრმა გაუწია მონიტორინგი და შეასრულა „საქუხიას კანიონზე“ ჩასასვლელი კიბის აღდგენითი სამუშაო. ორაგვე-აცანის საფეხმავლო ტურისტული ბილიკების მოწყობის საპროექტო წინადადების წარმდგენი საინიციატივო ჯგუფისთვის რეკომენდაცია გაიცა და გაეწია ტექნიკური დახმარება. სამუშაო ჯგუფის მიერ ტურისტული ობიექტების ადვილად მისაწვდომობის მიზნით განხორციელდა

საგზაო ნიშნულების პროექტირება და მათი განთავსება. მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან შეთანხმებით შემუშავდა სამუშაო გეგმის ნახაზი, მუნიციპალიტეტში სრული ტურისტული პოტენციალის გამოკვლევისთვის.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** მადლობა გადაუხადა მერიის ყველა სამსახურს, რომელიციც აქტიურად იყო ჩართული ამა თუ იმ პროექტების მომზადებასა და განხორციელებაში. ასევე, მადლობა გადაუხადა მერის მოადგილეებს, საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ, ბესიკ ტაბიძეს, საკრებულოს თითოეულ წევრს თანადგომისა და ნაყოფიერი ურთიერთ თანამშრომლობისათვის. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ 2024 წლის ბიუჯეტი არის ერთ-ერთი საუკეთესოდ შესრულებული ბიუჯეტი. ასევე, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს გაწეული სამუშაოებისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ 2024 წელს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა როგორც ინფრასტრუქტურის, ასევე სოციალური კუთხით. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ გასული წლის ბიუჯეტმა ისტორიულ ნიშნულს მიაღწია, რისთვისაც მადლობა ეკუთვნის მთავრობას, მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს, მერიის თითოეულ სამსახურს, რომელიც აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ მიუხედავად მუნიციპალიტეტის მასშტაბით ინტენსიურად მიმდინარე ინფრასტრუქტურული მშენებლობისა, ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში შედარებით ნაკლები პროექტები განხორციელდა, რის გამოც ადგილობრივ მოსახლეობას მეტ-ნაკლებად უჩნდება უკმარისობის განცდა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის განცხადებით, თითქმის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მოწესრიგდა და კეთილმოეწყო სპორტული ინფრასტრუქტურა, რაც მისასალმებელია, მაგრამ ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში არ არის მინი სტადიონი. ასევე, მწვავედ დგას წყალმომარაგების პრობლემა, რადგან მიეწოდებათ მხოლოდ ტექნიკური წყალი და ისიც გრაფიკით. გარდა ამისა, ძალიან პრობლემურია საბავშვო ბაღის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი ჩასმულია, შემსრულებელი კომპანიის ბრალეულობიდან გამომდინარე, მეორე წელია ამ კუთხით, არანაირი სამუშაო არ დაწყებულა. ასევე, ძალიან ცუდ მდგომარეობაშია შიდა გზები. ყოველივე აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თხოვნაა, რომ მიმდინარე წელს გაცილებით მეტი რესურსი მიიმართოს ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში შექმნილი სიტუაციის მოსაწესრიგებლად.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. მათ შორის კოლხეთის ეროვნულ პარკთან დაკავშირებით. რაც შეეხება საბავშვო ბაღის თემას, რეაბილიტაციის პროცესში აღმოჩნდა, რომ კედლები არ იყო მდგრადი, რის გამოც მოხდა შენობის დემონტაჟი და აშენდება ახალი საბავშვო ბაღი. ფინანსური რესურსი გამოყოფილია, პროექტი გამზადებულია და ელოდებიან შესაბამისი სამუშაოების დაწყებას. სპორტულ ინფრასტრუტურის კეთილმოწყობის კუთხით, აღნიშნა, რომ თავის დროზე ჩიბათში დაიწყო სტადიონის მშენებლობა, რაც ვერ განხორციელდა. ამჟამად, შესაბამის პროგრამაში გათვალისწინებულია მინი სტადიონის კეთილმოწყობა, მაგრამ გარკვეულ წილად, ადგილ-მდებარეობის შერჩევის პრობლემაა. რაც შეეხება დანარჩენ მიმართულებს, ამ მხრივ გამოწვევები არის არა მარტო ჩიბათის, არამედ, მეტ-ნაკლებად, მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერმა დარგობრივად, აბსოლუტურად ამომწურავი შეფასება გააკეთა. მთავარია, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ასეთ ნიშნულზე აქამდე არასდროს არ ყოფილა, რაც განაპირობა ბიუჯეტის სწორად მართვამ და პრიორიტეტების მართებულად შერჩევამ. ამის შემდეგ გამოეხმაურა კოლეგის განცხადებას წყალმომარაგებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის ოთხ სოფელს წყალი საერთოდ არ მიეწოდება. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა სხვადასხვა მიმართულებით. აქედან გამომდინარე, სჯერა, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე დანაპირები შესრულდება და ზემოთ აღნიშნული საკითხები მოგვარდება.

საკრებულოს თავმჯდომარემ, მუნიციპალიტეტის მერს მადლობა გადაუხადა ყველაფრისთვის და მოსახლეობასთან ერთად სჯერა, რომ კიდევ ძალიან ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდება. უსურვა მუნიციპალიტეტის მერს შემდგომი წარმატება და წინსვლა მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ ფრაქციამ განიხილა წარმოდგენილი ანგარიში და მისცა დადებითი

შეფასება. ასევე, მუნიციპალიტეტის მერთან და მერიის სამსახურების უფროსებთან ერთად ფრაქციამ განიხილა სახელმწიფო აუდიტის დასკვნა. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ 2024 წელი ადგილობრივი მოსახლეობისთვის საკეთილდღეო იყო იმ კუთხით, რომ შეძლეს მასშტაბური პროექტების განხორციელება, რაზეც დეტალურად ისაუბრა მუნიციპალიტეტის მერმა. პარტია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში დაპროექტდა და განხორციელდა ისეთი მოცულობის და ოდენობის პროექტი, რასაც არც ერთი სხვა ხელისუფლების დროს ადგილი არ ჰქონია. ამისთვის მადლობის ღირსია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ბესიკ ტაბიძე და მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ალექსანდრე სარიშვილი, რადგან ყოველივე ეს მათი კოორდინირებული და აქტიური შრომის შედეგია. მიუხედავად ამისა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი კვლავ დგას გარკვეული გამოწვევების წინაშე, მაგრამ სჯერა, რომ ასეთი კეთილსინდისიერი, თავდაუზოგავი შრომით და მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაციით პარტია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გუნდი შეძლებს უფრო ბევრი საკითხის მოწესრიგებას. მან მოსახლეობის სახელით კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ასევე, გუნდის თითოეულ წევრს და უსურვა შემდგომი წარმატებები.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ, **ნინო მშვიდობაძემ** აღნიშნა, რომ ასეთი მასშტაბური ბიუჯეტი მუნიციპალიტეტის ისტორიაში არ ახსოვთ, რამაც რეალური ასახვა პოვა ადგილობრივი მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ამისთვის მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს და გუნდის წევრებს, რადგან ასეთი შედეგი კოორდინირებული მუშაობის შედეგია. ყოველივე აქედან გამომდინარე, დარწმუნებულია, რომ ასეთი შეჯერებული და ერთობლივი შრომით ნებისმიერ გამოწვევას გაუმკლავდებიან.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს და საკრებულოს თითოეულ წევრს მხარდაჭერისა და თანადგომისთვის. ასევე, მერიის სამსახურებს და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც პროცესში აქტიურად არიან ჩართულები და მხარდაჭერას უცხადებენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.

მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N18 (29.04.2025).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი კორექტირებული ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილი გაიზარდა 14 608 668 ლარით და განისაზღვრა 42 434 221 ლარით. ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ხარჯვით ნაწილზე მიიმართა 3 233 208 ლარი. ბიუჯეტის ვალდებულებები შემოსულობების შესაბამისად განისაზღვრა 45 667 429 ლარით. მათ შორის: შტატით მომუშავეთა შრომითი ანაზღაურება განისაზღვრა 9 491 083 ლარით; საქონელი და მომსახურების მუხლი განისაზღვრა 10 020 036 ლარი;, აქედან, შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 3 862 263 ლარი; სუბსიდიის მუხლით დაფინანსება განისაზღვრა 1 360 417 ლარით, სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსება - 1 184 000 ლარით; სხვა ხარჯების მუხლი დაფინანსებაზე მიიმართა 602 518 ლარი; არაფინანსური აქტივების მუხლით დაფინანსებამ შეადგინა 22 931 075 ლარი; ვალდებულებების დაფარვაზე მიმართულია 58 100 ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.

მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N14 (29.04.2025).

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ ტექნიკა, რომელიც ემსახურება სოფლებს, არის 5-7 კუბი ტევადობის, რის გამოც უხდებათ დღეში რამდენიმე რეისის გაკეთება. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ თუ შესაძლებელია, მოხდეს გაცილებით დიდი ტევადობის სატვირთო მანქანის შეძენა, რადგან არის ისეთი ადგილები, სადაც ასეთი მანქანა თავისუფლად შეძლებს გადაადგილებას. დანარჩენ შემთხვევაში კი, კვლავ არსებული ტექნიკა მოემსახურებათ.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ, **კარლო წილოსანმა** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამის ფარგლებში წყლის სათავეს ემსახურებოდა მოქალაქე, რომელიც გარკვეული მიზეზის გამო ვეღარ აგრძელებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. შეირჩა სხვა პიროვნება, მაგრამ მისი დანიშვნის პროცესი დროში გაიწელა. მან დახმარების თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რათა დროულად მოგვარდეს აღნიშნული საკითხი.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხდება არა პენსიონერი მოქალაქეების დასაქმება. როგორც მისთვისაა ცნობილი, კონკრეტული პიროვნება გახდა პენსიონერი და ავტომატურად ჩაეხსნა პროგრამიდან. მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი იქნა კანდიდატურა. მერიის სამსახურთან ერთად მოხდა საკითხის განხილვა, მაგრამ ამას ჭირდება შეთანხმება შესაბამის უწყებასთან. საბოლოოდ, დარწმუნებულია, რომ საკითხი გადაწყდება, რადგან ეს პროგრამა კარგად მუშაობს და სავარაუდოდ, გაგრძელდება.

საკრებულოს წევრმა, **ელისო ჭიჭინაძემ** პირველ რიგში მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს და კოლეგებს გაწეული მუშაობისთვის, რის შემდეგ აღნიშნა, რომ ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შემდგომ პერიოდიდან ელოდებიან შესაბამის ტექნიკას შიდა გზების მოსაწესრიგებლად. მართალია, რამდენიმე დღის განმავლობაში მუშაობდნენ, მაგრამ შემდეგ სამუშაო პროცესი აღარ გაგრძელებულა. არადა საშინელი სიტუაციაა რკინიგზის პირის და ,,ბასეინის“ უბნებში. ასევე, სასაფლაოსთან მისასვლელ ცენტრალურ გზაზე, სადაც გადაადგილება შეუძლებელია. მეორე მხრიდან მისასვლელი გზა კეთდება სოფლის რესურსით და მუნიციპალიტეტის ჩართულობით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, რისთვისაც მუნიციპალიტეტის მერს მადლობა გადაუხადა. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ თავის დროზე რკინიგზის პირის მოსახლეობა შეხვდა და თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, იმის თაობაზე, რომ რკინიგზის გადასასვლელიდან მოსახლეობამდე მისასვლელი გზა გაუვალი ადგილია, რადგან გასაკაფია ხეები. ასევე, საკრებულოს წევრმა თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ იქნებ მერიის შესაბამისმა სამსახურმა შეამოწმოს ლესის საბავშვო ბაღის შენობა, რადგან კედლები დაბზარულია. მშენებლობის პროცესშიც აღნიშნულ ტერიტორიაზე იდგა წყალი. გარდა ამისა აღნიშნა, რომ თავის დროზე გათვალისწინებული იყო ლესაში სტადიონის კეთილმოწყობა.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, მოსახლეობას მიმართა, მათი ჩართულობით მომხდარიყო აღნიშნული გზის მოწესრიგება. რაც შეეხება საბავშვო ბაღის თემას, როდესაც ითქვა, რომ ოთხი საბავშვო ბაღის აშენება ან სრული რეაბილიტაცია მომხდარიყო, აღმოჩნდა, რომ აქედან, სამი უნდა აშენდეს. გარდა ამისა, ბოლო ათი წლის განმავლობაში აშენებული საბავშვო ბაღის შენობები გადაცემულია, რათა ჩაუტარდეს სრული რეაბილიტაცია. როდესაც შემოწმების შედეგად გაირკვევა, რომ რომელიმე საბავშვო ბაღის შენობა საფრთხის შემცველია, მაშინ მოხდება მათი დემონტაჟი და აშენდება ახალი საბავშვო ბაღი, თუ არადა, ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია. სტადიონის საკითხთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ პირველ რიგში იმ სოფლებში მოეწყობა სტადიონები, სადაც საერთოდ არ არის. ამის შემდეგ კი, ფინანსური შესაძლებლობის გათვალისწინებით მოხდება დანარჩენი სტადიონების მოწესრიგება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **ზაზა წულაძის** განცხადებით, ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში სკოლასთან დაკავშირებით რიგ საკითხებზე პასუხია გასაცემი. თუკი საჭიროებას წარმოადგენს, ჯობია შემსრულებელ კომპანიასთან დროულად შეწყდეს ხელშეკრულება, თუ არადა, ერთობლივად უნდა გამოიძებნოს რაღაც გზა, რათა სიტუაცია გამოსწორდეს. რაც შეეხება შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულს, აქ მადლობის ღირსია შემსრულებელი კომპანია, რადგან სწრაფი ტემპით მუშაობენ. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა, დაიწყება თუ არა წყლის გარეშე დარჩენილ ადმინისტრაციულ ერთეულებში სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებამდე წყალმომარაგების სისტემის დაპროექტება, თუ სამუშაოების დასრულების შემდეგ იქნება კომპანიის მიერ აღებულ ვალდებულებაზე საუბარი.

მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, სავარაუდოდ, დაწყებული პროექტების დასრულებამდე ახალი ფიზიკურად ვერ მომზადდება. სკოლებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ადგილზე მოინახულა შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე სამუშაოები, რომელიც მართლაც ძალიან კარგად ხორციელდება და მალე შუხუთს ექნება ახალრეაბილიტირებული სკოლა, რაც წლების განმავლობაში სერიოზული გამოწვევა იყო. რაც შეეხება ნიგოითს, შემსრულებელ კომპანიასთან მიმართებაში არის გარკვეული პრობლემები, რადგან ნიგოითის გარდა, საქართველოს მასშტაბით ახორციელებს რამდენიმე პროექტს. პირადად ჰქონდა სატელეფონო კომუნიკაცია შესაბამისი უწყების ხელმძღვანელობასთან, სადაც დაბარებული იყო კომპანიის წარმომადგენლობა. მიდიოდა მსჯელობა კომპანიასთან ხელშეკრულების გაწყვეტასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს გამოიწვევდა ახალი ტენდერის გამოცხადებას ქვეყნის მასშტაბით. ამიტომ, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, კომპანიას გაეწიოს გარკვეული დახმარება. შესაბამისად, მათ მიერ უახლოეს პერიოდში დაიწყება სამუშაოების განხორციელება.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

29 აპრილი **2025** წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 [illegible]	
2	ემზარ თევდორაძე	11 55	
3	ვერიკო კვირკველია	11 [illegible]	
4	გიორგი ჩახვაძე	11 55	
5	გიორგი ხელაძე	11 50	
6	ალექსანდრე მახათაძე	1135	
7	ზაზა წულაძე	11 [illegible]	
8	კარლო კვიტაიშვილი		
9	გიორგი იმნაიშვილი	1135	
10	ია მოქია	11:55	
11	კახაბერ ასკურავა		
12	მაკა მშვიდობაძე		
13	ვლადიმერ ნანაძე	11 55	
14	კარლო წილოსანი	11 55	
15	ლოლიტა ურუშაძე	11 57	
16	ნინო მშვიდობაძე	12:00	
17	გოგი მორჩილაძე	12:00	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-57	
19	გიორგი გოგუაძე		
20	გოჩა ჯანაშია		
21	ელისო ჭიჭინაძე	11 55	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 40	
23	კახა თედორაძე		

24	დარეჯან ბურჭულაძე	11 სხ.	
25	ირმა მგელაძე		
26	გივი ცინცაძე		
27	ჯუმბერ ბლაგიძე		